



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030471376615016

04-1/ო

03 / იანვარი / 2017 წ.

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 ივნისის 04-331/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 ივნისის № 04-331/ო ბრძანებაში და მისი N6 დანართის (სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის მეთვალყურეობისა და ინსპექტირების პროცედურები) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მეთვალყურეობის მიზნით, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განახორციელოს ვიზიტი პროგრამის მიმწოდებელთან არანაკლებ კვირაში ერთხელ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მეცადინეობების ცხრილის საფუძველზე.“

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, ამ ბრძანების დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით („დეს“) სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს, ამ ბრძანების შესაბამისად, სააგენტოს 2016 წლის 16 ივნისის № 04-331/ო ბრძანების N6 დანართის კოდიფიცირებული ვერსიის სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი

ზაზა სოფრომაძე